№3-848

15.02.2023

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (ს.ნ 204873618)
მის: თბილისი, იოველ ჯეგაშვილის I გასასვლელი #5, 0177
ტელ: 239-90-19/18
ელფოსტა: vakhtang.kobaladze@csrdg.ge

განცხადება

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი სისტემატურად აკვირდება ქვეყანაში სურსათის უვნებლობის მოთხოვნების შესრულებას. ამ მიზნით სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან (სეს) გამოთხოვილი გვქონდა სურსათში ვეტპრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების მონიტორინგის შედეგები.

როგორც აღმოჩნდა, სეს-ის მიერ სხვადასხვა დროს მოწოდებული და საკუთარ ვებსაიტზე nfa.gov.ge გამოქვეყნებული 2019-2020 წლების მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. შესაბამისად, 2022 წლის 15 ნოემბერს (წერილი №3-819) სეს-ს მივმართეთ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, რათა ზემოაღნიშნული ინფორმაცია დაეზუსტებინა და სრული მონაცემები მოეწოდებინა.

არაერთი შეხსენების მიუხედავად, 2022 წლის 15 ნოემბრის წერილზე პასუხი არ მიგვიღია. შესაბამისად, როგორც სეს-ის საქმიანობაზე ზედამხედველ სახელმწიფო ორგანოს, გთხოვთ უზრუნველყოთ სეს-ის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა და ოფიციალურად გავრცელებული საჯარო ინფორმაციის სიზუსტე, იმისათვის, რათა საზოგადოებას, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას სათანადო წარმოდგენა ჰქონდეს ბაზარზე განთავსებულ სურსათთან დაკავშირებულ საფრთხეებზე და მის ხელთ არსებულ საშუალებებს მიმართოს საკუთარი და სხვა მოქალაქეების ჯანმრთელობის დასაცავად.

გთხოვთ, თქვენს მიერ განხორციელებული ქმედებების თაობაზე გვაცნობოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang.kobaladze@csrdg.ge.

დანართად იხილეთ ჩვენს მიერ სეს-ში გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე
პროგრამის კოორდინატორი

დანართები (4 გვერდი):

1. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის 15.11.2022-ის წერილი №3-819 სეს-ს.
2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.